

იმისათვის, რომ თუშეთის თემის წარმომადგენლებმა ადგილზე მოიპოვონ სამასალე ან საშეშე მერქანი, საჭიროა მათ განცხადებით მიმართონ ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს. სამასალე მერქნის მოთხოვნის განცხადებას თან უნდა დაერთოს:

- ახალ მშენებლობისა ან/და ობიექტის რეკონსტრუქციის შემთხვევაში შესაბამისი შეთანხმებული არქიტექტორულ-სამშენებლო პროექტი და მშენებლობის ნებართვა.
- რემონტის შემთხვევაში - მხოლოდ ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათები.

საშეშე მერქნის მოთხოვნის შემთხვევაში:

- მოთხოვნილი საშეშე მერქნის მოცულობა კომლზე მაქსიმუმ 7 მ<sup>3</sup> (მაღალმთიანი მაცხოვრებლის სტატუსის ქონის შემთხვევაში მაქსიმუმ 15 მ<sup>3</sup>) ოდენობით. ახმეტის მერის მიერ მერქნის გაცემაზე თანხმობის შემთხვევაში, მომთხოვნი პირი თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციიდან ბანკში წარადგენს საინფორმაციო ფურცელს, გადაიხდის შესაბამის საფასურს, რის საფუძველზეც ბანკი გასცემს მასზე ხე - ტყის დამზადების ბილეთს. აღნიშნული ბილეთის წარდგინებით თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურისადმი მოხდება მოთხოვნილი მერქნის დამზადება, ტყიდან გამოტანა, დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირება და წარმოშობის დოკუმენტაციით უზრუნველყოფა.